

## მასწავლებელთა მომზადება და შესაბამისი კომპეტენციების ფორმირება

ლელა თავდგირიძე

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი

### ანოტაცია

მასწავლებლის განათლებაზე, ერუდიციაზე, პროფესიულ სიმწიფესა და პედაგოგიურ ოსტატობაზეა დამოკიდებული მოზარდის პროცენზად ჩამოყალიბება. ამიტომ საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმის მნიშვნელოვანი მიმართულებაა მასწავლებლის პროფესიული მომზადება და გადამზადება, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადება რაც მჭიდროდ უკავშირდება უმაღლეს სასწავლებელში მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების, კომპეტენციების გადატანას სასკოლო პრაქტიკაში. სტატიაში აღწერილია ის კომპეტენციები, რომელიც უნდა ჩამოუყალიბდეს მომავალ მასწავლებელს. დახასიათებულია სწავლება/სწავლის მეთოდები, რომლებიც ხელს შეუწყობს ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციების ფორმირებას.

**საკვანძო სიტყვები:** კომპეტენცია, მასწავლებელი, საგანმანათლებლო პროგრამა, ცოდნა, პრაქტიკა, კომუნიკაცია, ღირებულებები.



მასწავლებლობა შემოქმედებითი პროფესიაა, რომელიც მუდმივ გონებრივ მუშაობას, უდიდეს სულგრძელობას, ბავშვების სიყვარულს და საქმის უსაზღვრო ერთგულებას მოითხოვს. მასწავლებელი საიმედო მომავალს ნიშნავს, ისე სავსესა და ყველაფრით მდიდარს, როგორც მასწავლებლის სახელის შემთავსებელი შემოდგომის თვე-ოქტომბერი. ყველა პედაგოგმა უნდა იცოდეს, რომ ტაძრისკენ მიმავალ გზაზე მართლაც მუდამ სანთელივით უნდა ენთო და იწვოდე, რომ შენს აღზრდილებს თამამად შეეძლოთ გითხრან: "ვინც ვარ და რაც ვარ, - შენით შევქმელი და საგზლად შენი ამაგი დამაქვს" [2,19]. სკოლის ბედ-იღბალი მასწავლებელზეა დამოკიდებული. `კარგი სკოლა და მომზადებული მასწავლებელი ისევე საჭიროა, როგორც ჰაერი~ - წერდა ლუარსაბ ბოცვაძე სტატიაში `საუბარი სახალხო სკოლაზე~ [5,122].

ნოდარ დუმბაძე კი აღნიშნავს: მე ჩემს მასწავლებლად ის ადამიანები მიმაჩნია, რომლებმაც საგანი კი არ შემასწავლეს, არამედ შემაყვარეს, ჩემთვის მასწავლებლობა საგნის ცოდნა კი არ არის, არამედ ღვთით მონიჭებული უნარი, სხვას გადასცე ცოდნა და ისე შეაყვარო საგანი, რომ განცვიფრებულმა იფიქროს, ეს რომ არ მცოდნოდა, რა მეშველებოდა, ამ ჩემს ცხოვრებას რა ფასი ექნებოდაო. მასწავლებლობა უდიდესი საიდუმლოს გამხელას უნდა ჰგავდეს. მოძღვარი შეგირდისათვის მისანი უნდა იყოს, მისანი, რომელიც მას ბუნების საიდუმლოს ანდობს. [1, 203].

XXI საუკუნის პედაგოგი ერუდირებული პროფესიონალი უნდა იყოს, მის განათლებაზე, ერუდიციაზე, პროფესიულ სიმწიფესა და პედაგოგიურ ოსტატობაზეა დამოკიდებული მოზარდის პროფუნების ჩამოყალიბება. ამიტომ საქართველოში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმის მნიშვნელოვანი მიმართულებაა მასწავლებლის პროფესიული მომზადება და გადამზადება, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის შესაბამისი კვალიფიციური პედაგოგიური კადრების მომზადება. მასწავლებლის პროფესია უშუალოდ არის "დროზე მიბმული" და კანონითაა რეგულირებული, რაც ხაზს უსვამს ამ პროფესიის მნიშვნელობას სახელმწიფოსათვის. საქართველოში მიმდინარეობს მასწავლებლობის უფლების მინიჭებისა და სერთიფიცირების თანამედროვე სისტემის ჩამოყალიბება, რაც მჭიდროდ უკავშირდება უმაღლეს სასწავლებელში მიღებული ცოდნისა და უნარ-ჩვევების, კომპეტენციების გადატანას სასკოლო პრაქტიკაში. მასწავლებლის პროფესიული კომპეტენტურობის ცნება გამოხატავს პედაგოგიური საქმიანობისადმი მის თეორიულ და პრაქტიკულ მზადყოფნის ერთიანობას და ახასიათებს მის პროფესიონალიზმს. ევროპის ბევრ ქვეყანაში მასწავლებლის მომზადების კურიკულუმის კომპონენტები და მიღწევების სტანდარტები შეესაბამება განათლების სამინისტროს ან პროფესიული ორგანოების, მაგალითად, მასწავლებელთა საბჭოების მიერ განსაზღვრულ ნაციონალურ რეგულაციებს, რაც პროგრამების ჰომოგენურობას უზრუნველყოფს. რიგ ქვეყნებში უნივერსიტეტების ავტონომიურობის უპირატესობიდან გამომდინარე სხვადასხვა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებს შორის შესაძლებელია სერიოზული განსხვავებების არსებობა. მიუხედავად ამისა, მომავალმა მასწავლებელმა უნდა შეიძინოს მთელი რიგი კომპეტენციები, რომლებიც მოიცავენ ცოდნას, ფასეულობებსა და უნარებს აუცილებელს მაღალი აკადემიური სტანდარტის მისაღწევად, თავისი დარგის ან კურიკულუმის სფეროში [4, 78] ].

ახალი ტიპის მასწავლებლის მომზადებას მოითხოვს საქართველოს კანონი "ზოგადი განათლების შესახებ", რომლის მიხედვითაც საქართველოში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნებია: ა) მოსწავლის ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მქონე, თავისუფალ პროფუნებად ჩამოყალიბებისათვის საჭირო პრობების შექმნა; ბ) მოსწავლის გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევების განვითარება, აუცილებელი ცოდნით უზრუნველყოფა, ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ლიბერალურ-დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბება, მოსწავლის მიერ კულტურულ ფასეულობათა პატივისცემა, ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოსა და გარემოს წინაშე უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელის შეწყობა [3,5]. აქედან ნათლად ჩანს, რა მოთხოვნებს უყენებს სახელმწიფო თანამედროვე მასწავლებელს, რა კომპეტენციებს უნდა ფლობდეს მასწავლებელი.

საქართველოში მასწავლებელთა მომზადება ტრადიციულად პედაგოგიურ ინსტიტუტებში ხდებოდა. 1995 წლიდან პედაგოგიური ინსტიტუტების მასიურად უნივერსიტეტებად გადაკეთებამ შეასუსტა მასწავლებელთა კადრების მომზადებისადმი ყურადღება. ყოველწლიურად მცირდებოდა პედაგოგიკა-ფსიქოლოგიის ციკლის საგნების ხვედრითი წილი. საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“ 2009 წლამდე

საბაზო და საშუალო სკოლის მასწავლებლის კვალიფიკაციის მისაღებად განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოპოვება იყო საჭირო. მაგისტრატურა ვერ აკმაყოფილებდა საქართველოს სხვადასხვა რეგიონის სკოლების მოთხოვნილებას საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის მასწავლებელზე. მასწავლებელთა ნაკლებობა შეიმჩნევა საქართველოს მაღალმთიან რაიონებში. ამ რაიონებში არსებული კვალიფიციური პედაგოგების საერთო რაოდენობა 30-60%-ით ნაკლებია საჭირო რაოდენობაზე. პრობლემის გადასაწყვეტად განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს პროგრამას "ასწავლე საქართველოსთვის". ამ პროგრამამ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონების სკოლების მოთხოვნილება მასწავლებელზე ნაწილობრივ დააკმაყოფილა. საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ შეტანილი ცვლილებებისა და დამატებების შედეგად, მასწავლებელთა მომზადების აკადემიურ პროგრამებს (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) 2010-2011 სასწავლო წლიდან დაემატა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.

საქართველოს კანონის „ზოგადი განათლების შესახებ“ II<sup>1</sup> თავის 21<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურებზე მასწავლებლობის უფლება აქვს ბაკალავრს, რომელსაც გავლილი აქვს მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა, აქვს შესაბამისი სერთიფიკატი ან განათლების მაგისტრის ხარისხი. მასწავლებლის მომზადების დარგობრივი დოკუმენტის მოთხოვნით მასწავლებელს უნდა ჰქონდეს ზოგადი, საგნობრივი და პედაგოგიური კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია განათლების სფეროში ზოგადსაკაცობრიო და ეროვნული პრიორიტეტების გასაცნობიერებლად და მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის გასაძლიერებლად. მასწავლებლის განათლება ემყარება უწყვეტი განათლების პრინციპს: მუდმივი წვრთნა და განვითარება. ეს გულისხმობს, მასწავლებელთა მუდმივ გადამზადებას პროფესიული განვითარების პროგრამებით და რესერტიფიცირებას, რეგულირების ეროვნული დოკუმენტების და საერთაშორისო რეკომენდაციების საფუძველზე. დარგობრივი დოკუმენტის შესაბამისად მომავალ მასწავლებლებს უნდა ჩამოუყალიბდეს შემდეგი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები: ცოდნა და გაცნობიერება, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, დასკვნის გაკეთების, კომუნიკაციის, სწავლის უნარი და ღირებულებები. რას გულისხმობს თითოეული მათგანი?

ცოდნა და გაცნობიერება - აქვს საგნის ცოდნის ბაზა და გაცნობიერებული აქვს პროფესიის არსი, დარგის საერთო სტრუქტურა და კავშირი ქვედარგებს შორის იცნობს დარგისთვის დამახასიათებელ პრინციპებს და კონცეფციებს, შესაბამის მეთოდებს, ასევე ზოგიერთ ახალ ასპექტს.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება-აქვს დროის დაგეგმვისა და მართვის (დროის მენეჯმენტის) უნარი; აქვს პრობლემების იდენტიფიცირების, დასმის, გადაწყვეტილების მიღების და ჯგუფში მუშაობის უნარი.

დასკვნის გაკეთების უნარი - აქვს აბსტრაქტული აზროვნების, ანალიზის, სინთეზის, კრიტიკული აზროვნებისა და თვითშეფასების უნარი;

კომუნიკაციის უნარი - აქვს სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და ანალიზის უნარი; მშობლიურ ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაციის უნარი, რომელიც საკმარისია პროფესიულ დისკუსიებში მონაწილეობისა და წერილობითი ანგარიშების და პრეზენტაციების მოსამზადებლად; აქვს ინგლისურ და კიდევ ერთ უცხო ენაზე პროფესიული საქმიანობის შესახებ კომუნიკაციის უნარი

სწავლის უნარი - აქვს სწავლის და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი, რომელიც მოიცავს სასწავლო და კვლევითი უნარების განვითარებას; აქვს უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროების გაცნობიერების უნარი.

ღირებულებები - პატივს სცემს კულტურულ მრავალფეროვნებას გააზრებული აქვს პროფესიული პასუხისმგებლობა, პატივს სცემს აზრის მრავალფეროვნებას, აქვს ეთიკური შეხედულებები.

ჩვენს უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება: საბაკალავრო: დაწყებითი განათლების მასწავლებელი, საბაზო და საშუალო სკოლის საგნის მასწავლებელი არჩეული სპეცილობის მიხედვით (როგორც დამატებითი სპეციალობა, ასევე დამოუკიდებლად არსებული) და საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა საბაზო და საშუალო სკოლის საგნის/საგნობრივი ჯგუფის მასწავლებელი. ამ პროგრამებში მასწავლებლის კომპეტენციების ფორმირებისათვის გათვალისწინებულია პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური დისციპლინები, საგნის სწავლების მეთოდთა, პედაგოგიური პრაქტიკა. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულს მასწავლებლობისათვის აუცილებელი დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციებით, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების კომპონენტები მიზნად ისახავს კურსდამთავრებულთა მიერ პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და კომპეტენციების მიღწევას, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ მომავალ დასაქმებას. სასწავლო კურსები ისეა აგებული, რომ მათი მიზანი, სწავლის შედეგი და სწავლების მეთოდები გამომდინარეობს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნიდან და სწავლის შედეგებიდან. საგანმანათლებლო პროგრამაში აღწერილი სწავლის შედეგები მიიღწევა სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო, არჩევითი და საგნის სწავლების მეთოდით. I-II სემესტრში გათვალისწინებული სასწავლო დისციპლინები უზრუნველყოფს მომავალ მასწავლებელს ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციებით, მომდევნო სემესტრის სასწავლო კურსები კი დარგობრივი კომპეტენციებით.

საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში კომპეტენციების ფორმირებისათვის გამოიყენება სწავლება/სწავლის მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის კურსისა და მოდულის სწავლის შედეგებს. ევრისტიკული, ახსნა-განმარტებითი, წერითი, ინდუქციის, დედუქციის მეთოდების, პორტფოლიოს წარმოების გამოყენებით ხდება სტუდენტის მიერ ცოდნის შეძენა პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ დისციპლინებში, საბაზო და საშუალო სკოლის საგნის სწავლების მეთოდთა და ამ ცოდნის გაცნობიერება. პრაქტიკული, წერითი, დემონსტრირების, ვიდეო მასალის ანალიზის, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდების, როლური თამაშების მიზანია სტუდენტებში ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის ფორმირება, რათა მათ

შედლონ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეროვნული სასწავლო გეგმისა და საგნის სპეციფიკის მოთხოვნების გათვალისწინებით; განურჩევლად მოსწავლეთა განსხვავებული შესაძლებლობებისა, მოსწავლეებისათვის თანაბარი, უსაფრთხო გარემოს შექმნა; დისკუსია/დებატით, პედაგოგიური სიტუაციის ანალიზით, ვერბალური და წერითი მეთოდების გამოყენებით სტუდენტი შეძლებს მოსწავლეთა აღზრდა-განათლებასთან დაკავშირებული კომპლექსური სიტუაციების ანალიზს, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებას და დასკვნის გაკეთებას; ჯგუფური მუშაობა, დებატი, როლური თამაშები, ახსნა-განმარტება, წერითი და ვერბალური, პორტფოლიოს პრეზენტაციის მეთოდების გამოყენებით ხდება კომუნიკაციის უნარის ჩამოყალიბება, რაც ასე მნიშვნელოვანია მასწავლებლისათვის. ის შეძლებს პროფესიულ დისკუსიებში მონაწილეობას, არსებული პრობლემებისა და მისი გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადებას და ინფორმაციის ზეპირად გადაცემას; პორტფოლიოს პრეზენტაცია, ანალიზი, სინთეზი, პედაგოგიური სიტუაციის ანალიზი, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლება ემსახურება სწავლის უნარის განვითარებას-მასწავლებელმა შეძლოს საკუთარი პროფესიული საქმიანობის შეფასება და უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრა; ჯგუფში მუშაობა, დისკუსია, სიტუაციის ანალიზი, ინდუქცია, დედუქცია ხელს უწყობს ეროვნული და საერთაშორისო დონეზე პროფესიული ფასეულობების გაზიარებისა და პრაქტიკაში რეალიზების უნარის ფორმირებას.

საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტურად განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია მასწავლებლის პროფესიისადმი მოტივირებული სტუდენტი ახალგაზრდობა. კითხვა: "ვის ვასწავლით"-განმსაზღვრელია მომავალ მასწავლებელთა მომზადების სისტემაში. პედაგოგიური შრომის სირთულე ობიექტურად მოითხოვს პედაგოგიური პროფესიისათვის მკაცრად შეირჩეს და ჩაირიცხოს ისინი, ვინც შეგნებულად აირჩია პედაგოგის პროფესია. კარგად ერკვევა მის თავისებურებებსა და სირთულეებში, აქვს სუბიექტური ფსიქო-პედაგოგიური მონაცემები-მიდრეკილება, ნიჭიერება, რომელთაც უფრო სრულყოფს და განავითარებს სწავლების პროცესში, პედაგოგიურ სასწავლებელში არ შეიძლება მიღებულ იქნას ყველა მსურველი. პროფესიის არჩევა უნდა მოხდეს იქედან გამომდინარე, თუ როგორი მიდრეკილება აქვს აბიტურიენტს ამ საქმიანობისადმი. ბუნებრივ მიდრეკილებებს მიჰყავს ადამიანი თავის პროფესიისაკენ.

ამიტომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ მომავალი მასწავლებლის მარტო ეროვნული გამოცდებით შერჩევა შეუძლებელია. ის, ვინც საერთო ეროვნული გამოცდები გაიარა და განათლების კარგი დონე აქვს, შემდეგ აუცილებლად უნდა მოხდეს მისი გამოცდა, მასთან გასაუბრება, რომ დადგინდეს აქვს თუ არა პედაგოგობის უნარი. ასევე გასათვალისწინებელია მათი გარეგნობა, მეტყველების კულტურა, პიროვნული თვისებები: რამდენად უანგარო და სპეტაკია, მათი დამოკიდებულება ბავშვებისადმი და საერთოდ არჩეული სპეციალობისადმი. კარგი მეტყველება ყველა დარგის სპეციალისტს სჭირდება, მაგრამ პედაგოგს და იურისტს უფრო მეტად, ვიდრე ეკონომისტებს, ინჟინრებს, აგრონომებს. ტესტს შეუძლია შეაფასოს აბიტურიენტის ცოდნა ამა თუ იმ საგანში, მაგრამ ვერ მოგვცემს აბიტურიენტის მასწავლებლობისათვის მზაობის სწორ პასუხს. სწავლება მხოლოდ მაშინაა მოღვაწეობა, როცა იგი აკმაყოფილებს შემეცნებით მოთხოვნას. ცოდნა ამ შემთხვევაში არის

როგორც მოტივი, რომელშიც განსახიერდება სტუდენტის–მომავალი მასწავლებლის მოთხოვნილება, შედეგად კი სკოლისათვის მომზადდება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მასწავლებელი, პიროვნება, რომელიც ღრმად ფლობს პედაგოგიურ დისციპლინებს, კარგად იცნობს მეცნიერებისა და ხელოვნების შესაბამის დარგებს, უყვარს ბავშვები და თავდადებით ემსახურება მათ. მზადაა უწყვეტი პედაგოგიური განათლებისა და მეცნიერული კვლევისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დუმბაძე ნ., რჩეული თხზულებანი, წიგნი IV, თბილისი 1974წ;
2. კორძაძია ლ., წარსულისა და აწმყოს ასოციაციები ანბანის შესწავლასთან კავშირში, ჟურნალი წიგნიერი, 2004 წ. №6 გვ. 19–21
3. კანონი ზოგადი განათლების შესახებ, თბილისი, 2005წ.
4. საგანმანათლებლო სტრუქტურების ურთიერთშეწყობა ევროპაში II, უნივერსიტეტების წვლილი ბოლონიის პროცესში, 2005 წ
5. ჭკუასელი ი., ლუარსაბ ბოცვაძე, თბილისი, 1954 წ.

---

Article received: 2011-12-26